თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3382131

ნომერი: AR1518923

თარიღი : 30.06.2017

გაცემის თარიღი : 13.07.2017

გაცნობის თარიღი : 23.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგლის , N 46 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი ქიტიაშვილი პ/ნ 11001000107
- ბორჯომი თორის ქ. N 6

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1518923 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. #46-ში (ს/კ #01.12.07.007.014) ნებისმიერის სახის ნებართვის გაცემას, ასევე ითხოვთ კოეფიციენტის მომატების საკითხთან დაკავშირებით მომართვის შემთხვევაში წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 09 დეკემბერს #2982023 ბრძანებით ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. #46-ში (ს/კ #01.12.07.007.014) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

2017 წლის 16 ივნისის #3328446 ბრძანებით ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. #46-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.12.07.007.014), შეთანხმდა #01/2 და #02/1 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა მშენებლობის (დემონტაჟის) ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

2017 წლის 19 ივნისს #AR1515503 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ნოდარ ხოხაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. #46-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ #01.12.07.007.014) ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.